4. 6კვ საკაბელო თხრილის მოწყობა

კაბელის ჩადება გათვალისწინებულია მიწის თხრილში (ტრანშეა), რომელიც უნდა მოეწყოს შემდეგი ნორმებით:

- თხრილის სიგანე 350 მმ;
- ტრანშეის სიღრმე მიწის გეგმიური ნიშნულიდან 800 მმ;
- კაბელების ჩადების სიღრმე მიწის გეგმიური ნიშნულიდან 700 მმ;
- კაბელების უშუალოდ მიწაში ჩადებისას, კაბელები უნდა ჩაიდოს თხრილში და ჰქონდეთ ქვედა საფენი და ზედა საფარი ქვიშის ან მიწის, რომელიც არ შეიცავს ქვებს, სამშენებლო ნაგავს და წიდას;
- გეგმური ნიშნულიდან 250 მმ-ზე საკაბელო ხაზის მთელ სიგრძეზე უნდა ჩაიდოს კაბელის მანიშნებელი ლენტი;
- 6 კვ საკაბელო ხაზის ტრანშეის ჭრილი



- გზისა და არსებული ბოჭკოვანი კაბელების გადაკვეთისას, კაბელების ჩადების სიღრმე მიწის გეგმიური ნიშნულიდან უნდა იყოს არანაკლებ 1000 მმ-ს;
- გზის გადაკვეთის მალში მექანიკური ზემოქმედებისაგან დასაცავად კაბელი უნდა გატარდეს პლასტმასის ორფენიან, გოფრირებულ მილში;